## საოქტომბრო საჩუქარი დედასამშობლოს

# ვაზის ჭირიმე, ვაზისა!

## დაგელოცოთ მარჯვენა, მევენახეებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 259 (14863)

5 ნოემბერი ხუთშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

საქართველოს ზვრებიდან წელს სამშობლომ მიიღო 385 ათასი ტონა ყურძენი, რაც 65 ათასი ტონით აღემატება გეგმას.

**ხუთწლედში ჩვენს სახელმწიფოს მიეყიდა 1.472 ათასი ტონა ყურძენი, 230 ათასი ტონით მეტი, ვიდრე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს.**

## ყურძნის დამზადება ხუთწლედში

(ტონობით)

1966 წელს
გეგმა
190.000
შესრულება
243.900

1967 წელს
გეგმა
210.000
შესრულება
221.200

1968 წელს
გეგმა
230.000
შესრულება
279.900

1969 წელს
გეგმა
290.000
შესრულება
342.200

1970 წელს
გეგმა
320.000
შესრულება
385.000



**რთველი სოფელ ვაზისუბანში**

ვაზისუბანი — ასე ეძახიან ამ სოფელს, რომელიც მთელ საქართველოში ყურძნის უხვი მოსავლით არის განთქმული და მართლაც ვაზის უბანია!

საკოლმეურნეო ზვრები აქ 890 ჰექტარზე აქვთ გაშენებული, აქედან წელს 720 ჰექტარზე უხვი რთველი ჰქონდათ. ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს. უხარია კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რ. მღებრიშვილს, უხარია სოციალისტური შრომის გმირს, მერგოლურ ლ. მთვარელაშვილს, უხარიათ მევენახეებს, რომ გარჯა დაუფასდათ — სახელმწიფოს დიდძალი ყურძენი მიჰყიდეს, საკოლმეურნეო სალარო და თავიანთი ოჯახები გაამდიდრეს.

კოლმეურნეობამ წელს ნაცვლად 3.500 ტონისა სახელმწიფოს 7.850 ტონა ყურძენი მიჰყიდა, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებიდან — 2.215 ტონა. სულ ვაზისუბნელებმა სამშობლოს 10.065 ტონა ყურძენი მისცეს. სურათზე: რთველი გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობის ზვრებში.

ფოტო მ. გენგიურისა.

# ქართველ მევენახეთა შესანიშნავი გამარჯვება

**რესპუბლიკის** მევენახეებმა, რომლებიც განაგრძობენ ლენინურ შრომითს ვახტს და გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, დიდი შრომითი წარმატებანი მოიპოვეს.

**მაშინ, როცა წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 320 ათასი ტონა, მევენახეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 385 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. წარმატებით შესრულდა ხუთწლიანი გეგმაც. ამ დროის მანძილზე დამზადებულია 1.472 ათასი ტონა ყურძენი, 230 ათასი ტონით მეტი, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული.**

მაღალ ვალდებულებათა რეალიზაციისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი **გურჯაანის, თელავის, ზესტაფონის, ყვარლის, თერჯოლის, მარნეულის, ახმეტის, წითელწყაროს, საგარეჯოს, მცხეთის, ბოლნისისა და ვანის რაიონების მშრომელებმა.**

მოპოვებული წარმატება მევენახეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია. უხვი მოსავალი მოიყვანეს საუკეთესო მევენახეთა მრავალი წლის გამოცდილების, ვაზის მოვლის მეცნიერების მიერ რეკომენდებული პროგრესული აგროტექნიკური ხერხების მასობრივი გამოყენების შედეგად.

ორგანიზებულად შეხვდნენ ყურძნის გადამუშავების სეზონს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის" საწარმოები, რომლებიც უშვებენ ორდინარულ და სამარკო ღვინოებს, შამპანურს.

სოფლის მშრომელთა წარმატებამ არსებითად გააუმჯობესა აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებისა და კურორტების მომარაგება სუფრის ყურძნით.

პლანტაციებიდან დასამზადებელ პუნქტებში ყურძნის გადატანაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი დახმარება გაუწიეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს რაიონული კანტორების კოლექტივებმა.

**მევენახეები, რომლებმაც შესანიშნავი მაჩვენებლებით დაამთავრეს რთველი, განაგრძობენ მუშაობას ვენახებში, საძირკველს უყრიან ახალი ხუთწლედის პირველი წლის კიდევ უფრო უხვ მოსავალს. მათი ფიქრები და მისწრაფებები მიმართულია იმისაკენ, რომ 1971 წელი აღნიშნონ შემდგომი შრომითი გამარჯვებებით.**

(საქინფორმი).

## გულითადად ულოცავენ

### გაუმარჯოს!

მოგილოცავთ ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, ქართველო მევენახეებო, თქვენს ახალ გამარჯვებას, ჩვენს ახალ გამარჯვებას!

თქვენი ყოველი წარმატება ერთნაირად გვახარებს ყველა დარგის და პროფესიის ადამიანებს არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი თქვენთანაც ისე ვართ დაკავშირებულნი, როგორც მხვნელ-მთესველებთან, არამედ იმიტომაც, რომ თქვენი საქმე ნამდვილად დიდი ეროვნული საქმეა, რომლითაც ჩვენი სამშობლო ისტორიულად არის ცნობილი. ჩვენი დედამიწის ყოველ კუთხეში ხომ სწორედ თქვენი შრომის საამო ნაყოფსაც მიჰქონდა და მიაქვს საქართველოს სახელი, როგორც არა მარტო ბუნებით მდიდარი ქვეყნისა, არამედ ამასთანავე როგორც შრომისმოყვარე, კეთილი ადამიანების მშობელი ქვეყნის სახელი.

გაუმარჯოს თქვენს უსაზღვროდ დიდ პატრიოტულ საქმეს! გაუმარჯოს ქართველ მევენახეთა მარჯვენას!

**ირაკლი აბაშიძე,**
პოეტი-აკადემიკოსი.

### შრომა, სიხარული

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ჩვენმა მევენახეებმა დედასამშობლო გაახარეს, ყურძნის მოსავლიანობის გეგმაც და ვალდებულებაც დიდი გადამეტებით შესრულდა.

ზვრების ბარაქამ ჩვენც, მეჩაიეებიც, გაგვახარა. არც ჩვენ არ დავრჩით ვალში. ვადაზე ადრე დიდი გადაჭარბებით შესრულდა ჩაის ნედლეულის მიღების ხუთწლიანი გეგმა.

მევენახეებო! გულით გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას!

**მარგო ჩიქვანაია,**
გეგეჭკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, გმირი დედა.

# ბრძანებულება

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის ოქმის რატიფიკაციის შესახებ

დამტკიცდეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის 1970 წლის 20 ივლისს მოსკოვში ხელმოწერილი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების მიერ მოწონებული ოქმი, რომელიც სარატიფიკაციოდ წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წლის 3 ნოემბერი.

385.000 1.472.000

385.000

# მევენახეთა მორიგი წარმატება

**შ. ჭანუყვაძე,**
**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.**

□

საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ახორციელებენ რა სკპ XXIII ყრილობის, სკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ხუთწლედის დავალებათა შესრულების საქმეში. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში ვადაზე ადრე, დიდი გადაჭარბებით შესრულებულია ხუთწლიანი გეგმა. მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ქართველმა მეჩაიეებმა, მათ ღირსეულად გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულება — ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 114 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ნედლეული. დიდი წარმატებანი მოიპოვეს ჩვენმა სახელოვანმა მევენახეებმა, მეხილეებმა, მებოსტნეებმა, მეცხოველეებმა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგის მშრომელებმა.

საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში მევენახეობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ერთ-ერთი უძველესი დარგია. საქართველო სამართლიანად ითვლება ვაზის კულტურის სამშობლოდ.

მევენახეობა, მეღვინეობა ძველთაგანვე მოსახლეობის ეკონომიური და კულტურული კეთილდღეობის წყაროს წარმოადგენდა. ვაზისადმი სიყვარულით და მრავალსაუკუნოვანი თავდადებული შრომით ქართველმა ხალხმა ისტორიულ ქარცეცხლში გამოატარა და ჩვენამდე მოიტანა ცალკეული რაიონების ჰავისა და ნიადაგობრივ პირობებთან კარგად შეგუებული ვაზის მრავალფეროვანი ჯიშები, ვენახის მოვლა-დამუშავების საკმაოდ დახვეწილი აგროტექნიკა და ღვინის ტექნოლოგია. არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება ვაზის ისეთი მრავალფეროვანი ჯიშები, როგორიც ჩვენშია. მათი რაოდენობა 500-მდე აღწევს. მევენახეობის ხვედრითი წონა მემცენარეობის საერთო პროდუქციაში დიდია, ცალკეულ რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იგი შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში მევენახეობას თითქმის ყველა რაიონში მისდევენ.

ყოველწლიურად იზრდება ვენახის ფართობები, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეურნეობაში. უკანასკნელი წლების მანძილზე ვენახის ნარგავები გადიდდა 58 ათასი ჰექტარით და ამჟამად შეადგენს 113,6 ათას ჰექტარს. ვენახების საერთო ფართობის 63 პროცენტი საზოგადოებრივ მეურნეობაზე მოდის, ფართობების გადიდებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძნის წარმოებაც.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. გადაჭარბებით შესრულდა ყურძნის წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმები. ხუთწლედის მანძილზე დამზადებულია 1.472 ათასი ტონა ყურძენი, 230 ათასი ტონით მეტი ვიდრე ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული.

მორიგ დიდ გამარჯვებას მიაღწიეს ჩვენმა სახელოვანმა მევენახეებმა მიმდინარე საიუბილეო წელს. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 385 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 320 ათასი ტონისა. ამით მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა რესპუბლიკის მევენახეთა ვალდებულებაც.

მარტო მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა წელს სახელმწიფოს მიჰყიდა 80 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 69 ათასი ტონისა.

ეს წარმატებები, მევენახეთა შრომითი გამარჯვება იმის შედეგია, რომ მევენახეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა კომკავშირული ორგანიზაციები თანმიმდევრულად აუმჯობესებენ ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას პარტიის XXIII ყრილობისა და სკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს კახეთის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. მათ სამშობლოს მისცეს 215 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, ანუ ყურძნის ჩაბარების რესპუბლიკური გეგმის 67 პროცენტი.

ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს გურჯაანის, თელავის, ზესტაფონის, ყვარლის, სიღნაღის, ახმეტის, წითელწყაროს, საგარეჯოს, ვანის, თერჯოლის, საჩხერის, ამბროლაურის, მარნეულის, მაიაკოვსკის, მცხეთის, ბოლნისისა და სხვა რაიონების მევენახეებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გურჯაანელ მევენახეთა წარმატება.

ამ რაიონის პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების, მეცნიერების მიღწევებისა და ნოვატორთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად მევენახეებმა საგრძნობლად გაადიდეს მოსავლიანობა და ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 75 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, რითაც წლიურ გეგმას გადააჭარბეს 22 ათასი ტონით.

რესპუბლიკის ბევრმა საბჭოთა მეურნეობამ, კოლმეურნეობამ, ბრიგადამ, რგოლმა და მევენახემ მოიყვანა ყურძნის სარეკორდო მოსავალი. გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 1.716 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 3.681 ტონა ყურძენი, რაც გეგმის 215 პროცენტს შეადგენს. ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ჩააბარა 3.521 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, გეგმა კი 2.600 ტონას ითვალისწინებდა. სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 750 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 946 ტონა ყურძენი, ხოლო თელავის რაიონის კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 2.330 ტონა ნაცვლად 1470 ტონისა.

ყოველწლიურად ყურძნის უხვ მოსავალს იღებს ცნობილი მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი, გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი ლევან მთვარელიშვილი. წელს ამ რგოლზე მიმაგრებული 12 ჰექტარის საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 148 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 ცენტნერისა.

ასევე მაღალ წარმატებებს მიაღწიეს სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა ვალერიან ხუცურაულმა, თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობის მევენახემ სოციალისტური შრომის გმირმა მიხეილ ქევხიშვილმა, ზესტაფონის რაიონის არგვეთის საბჭოთა მეურნეობის მევენახემ სოციალისტური შრომის გმირმა დომენტი ლელაძემ და ყურძნის მაღალი მოსავლის სხვა ცნობილმა ოსტატებმა.

მათს სახელოვან ტრადიციებზე იზრდება მევენახეობის რაიონის ახალგაზრდობა. ისინი დაუღალავი ენერგიით, ნაყოფიერი შრომით, მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა დანერგვით აღწევენ ყურძნის მოსავლიანობის გადიდებას.

ამჟამად რესპუბლიკის ღვინის ქარხნები უშვებენ 45 დასახელების ღვინოს, 10 დასახელების კონიაკსა და 6 დასახელების შამპანურ ღვინოს, რომლებიც საერთაშორისო კონკურსებზე მაღალ შეფასებას იმსახურებენ და სისტემატურად ჯილდოვდებიან ოქროს და ვერცხლის მედლებით. საქართველოს ღვინის მრეწველობის პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

რესპუბლიკაში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების საქმეს ემსახურება სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დიდი არმია. ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას ეწევა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი. ქართველ მეცნიერთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მიერ გამოყვანილია ვაზის ახალი ჯიშები და დამუშავებულია ცალკეული ზონების მიხედვით მისი მოვლის აგროტექნიკა. მეცნიერთა და ნოვატორთა ეს მიღწევები ფართოდ ინერგება წარმოებაში.

რესპუბლიკაში მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის, დიდი როლი შეასრულა ვაზის საძირეთა სადედეების და სანერგე მეურნეობის ფართო განვითარებამ. თუ წინათ ვაზის ნამყენი ნერგი საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა, დღეისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მთლიანად უზრუნველყოფილი არიან საკუთარი წარმოების ვაზის სარგავი მასალით.

საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა, განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, ვაზის ჯიშების მდიდარი ასორტიმენტი, მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების ფართო შესაძლებლობანი და ამასთანავე მის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება აუცილებელს ხდის ამ დარგების ფართოდ განვითარებას.

ახალ ხუთწლედში დიდი ყურადღება დაეთმობა ვენახების ფართობების გადიდებას საზოგადოებრივ სექტორში. 1971-1975 წლებში კვლავ გაშენდება ათასობით ჰექტარი ვენახი. მნიშვნელოვნად გაიზრდება ყურძნის წარმოება და დამზადება.

ყურძნის წარმოების გადიდება მოითხოვს მისი გადამმუშავებელი ქარხნების საწარმოო სიმძლავრეთა შესაბამის ზრდას. ამიტომ ახალ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არსებული ღვინის ქარხნების გაფართოება-რეკონსტრუქციას და ახალი ქარხნების მშენებლობას.

სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება. მიღწეული წარმატებანი თვალსაჩინოა. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა განამტკიცონ სოფლის მშრომელთა მიერ მოპოვებული ეს წარმატებანი.

ამჟამად დიდი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა უბანზე. ჩვენი მშრომელები ახალ-ახალი წარმატებებით ეგებებიან ღირსშესანიშნავ თარიღებს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობასა და საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

მრეწველობის მუშაკთა მხარდამხარ სამშობლოს ღირსეულ საჩუქრებს უმზადებენ სოფლის მეურნეობის მშრომელები. ამისი ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია საქართველოს მევენახეთა ეს მორიგი წარმატება. ჩვენი მევენახეები, რომლებმაც რთველი უკვე დაამთავრეს, კვლავ განაგრძობენ მუშაობას ვენახებში, ამთავითვე საფუძველს უყრიან ახალი ხუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს.

ამოცანა ის არის, რომ უფრო გავაძლიეროთ მიღწეული წარმატებები, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ვაზის უნიკალური ჯიშების გაშენებას, მეჩხერიანობის ლიკვიდაციას, რისთვისაც ფართოდ უნდა დავნერგოთ მანჯავიძის პროგრესული მეთოდი, რომელიც პრაქტიკამ გაამართლა.

ახლა, როცა ჩვენი მევენახეები ბეჯითად ემზადებიან საიუბილეო 1971 წელს უხვი მოსავლის მისაღებად, ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ მკვეთრად გადიდდეს არა მარტო ყურძნის მოსავლიანობა, არამედ მისი ხარისხიც, რომ შემდგომშიც გაუმჯობესდეს და ამაღლდეს ქართული სამარკო ღვინის ღირსება. ერთი წუთითაც არ უნდა შევანელოთ საიუბილეოდ ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვისა და საქმის ერთიანობას უზრუნველყოფს მხოლოდ მაღალი ორგანიზატორობის, მტკიცე შრომითი დისციპლინის, საერთო წარმატებისათვის ყველა მშრომელთა შეგნებული პასუხისმგებლობის ვითარება.

ეს არის ამჟამად საქართველოს მევენახე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, თვითეული მევენახის მთავარი საზრუნავი, სახელისა და ღირსების საქმე.

## ვინ რამდენი მიჰყიდა სახელმწიფოს 1970 წელს

(ტონობით)

| | |
|---|---|
| გურჯაანი | 75.387 |
| თელავი | 45.039 |
| ზესტაფონი | 28.264 |
| ყვარელი | 24.063 |
| სიღნაღი | 19.342 |
| თერჯოლა | 19.041 |
| ახმეტა | 18.954 |
| მარნეული | 17.470 |
| საგარეჯო | 15.145 |
| წითელწყარო | 12.797 |
| მაიაკოვსკი | 12.737 |
| ვანი | 11.082 |
| ბოლნისი | 9.481 |
| გარდაბანი | 8.406 |
| მცხეთა | 8.363 |
| კასპი | 6.242 |
| საჩხერე | 6.072 |
| ორჯონიკიძე | 6.067 |
| აფხაზეთის ასსრ | 5,858 |
| გორი | 4.803 |
| ლაგოდეხი | 3.699 |
| ამბროლაური | 3.508 |
| ხაშური | 3.321 |
| წყალტუბო | 3.063 |
| ცაგერი | 2.612 |
| ჭიათურა | 2.108 |
| ზუგდიდი | 1.713 |
| ჩოხატაური | 1.291 |
| ცხაკაია | 1.055 |
| სამტრედია | 986 |
| აჭარის ასსრ | 941 |
| თეთრი წყარო | 921 |
| წალენჯიხა | 873 |
| გეგეჭკორი | 850 |
| ჩხოროწყუ | 836 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო. | 622 |
| ქარელი | 478 |
| დუშეთი | 432 |
| წულუკიძე | 338 |
| ონი | 289 |
| მახარაძე | 238 |
| ტყიბული | 232 |
| სულ რესპუბლიკაში | 385.019 |

# კეთილმეზობლობის ინტერესებისათვის

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა**

□

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 3 ნოემბერს დაამტკიცა სსრ კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის ოქმი მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ. ოქმს ხელი მოაწერეს მოსკოვში 1970 წლის 20 ივლისს და მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა გახსნა **ნ. ვ. პოდგორნიმ.**

საბჭოთა მთავრობის დავალებით საინფორმაციო მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ა. ა. გრომიკომ.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, თქვა ამხ. ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მოქმედების ვადის მომდევნო 20 წლით განგრძობის ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერეს მოსკოვში 1970 წლის 20 ივლისს.

ხელშეკრულების ვადის განგრძობა, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ა. ა. გრომიკომ, საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი თანაარსებობის განუხრელი პოლიტიკის ახალი წარმატებაა და გამოხატავს ორივე ქვეყნის მისწრაფებას ყოველმხრივ განავითარონ თავიანთი კეთილმეზობლური ურთიერთობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგარეო საქმეთა კომისიების სახელით სიტყვა წარმოთქვა ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ბ. ნ. პონომარიოვმა.**

სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ს. ბ. ნიაზბეკოვმა,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, გორკის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ხარატმა **ს. ს. ცეცეგოვმა,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ვ. პ. რუბენმა,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, სკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **მ. ზ. შაკიროვმა.**

ყველა ორატორმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი წინადადებას, რომ დამტკიცდეს ოქმი საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულების ვადის განგრძობის შესახებ.

განხილვის შედეგები შეაჯამა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ.**

როცა განვიხილავთ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის თაობაზე ოქმის რატიფიკაციის საკითხს, თქვა ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ, ხაზი უნდა გავუსვათ ამ ხელშეკრულებისა და ახალი 20 წლის ვადით მისი განგრძობის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულებამ, რომელსაც ხელი მოაწერეს 1948 წლის 6 აპრილს, მტკიცე საძირკველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობას და წარმატებით ემსახურება ჩრდილოეთ ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებს.

ყოველი უწინასწარმეტყველო ადამიანისათვის ცხადია, აღნიშნა ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ, რომ ხელშეკრულება, რომელიც თავდაცვითი ხასიათისაა, მიმართული არ არის რომელიმე სხვა ხალხისა თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია არსებითად შეუწყოს ხელი სტაბილური ვითარების განმტკიცებას ჩრდილოეთ ევროპასა და ბალტიის ზღვის აუზში, ევროპის მთელ კონტინენტზე.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულების ვადის განგრძობა, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ, მეტად დიდმნიშვნელოვანი რგოლია საბჭოთა კავშირის ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ევროპაში ვითარების გაუმჯობესება მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან ფართო ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება.

შემოაქვთ წინადადება მიიღონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის თაობაზე სსრ კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის ოქმის რატიფიკაციის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს ბრძანებულება ოქმის რატიფიკაციის შესახებ. ნ. ვ. პოდგორნიმ ხელი მოაწერა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას და სარატიფიკაციო სიგელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს იმ დელეგაციათა საქმიანობა, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში იყვნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის მოწვევასთან დაკავშირებული საკითხები.

## ბრძანებულება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა**

**ამხ. ს. ი. ქაჯაიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაშვების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაშვებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ამხ. სერგი იასონის-ძე ქაჯაია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მის არჩევამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე**

თბილისი,
1970 წ. 4 ნოემბერი.

## აფხაზეთის მხატვართა გამოფენაზე

საქართველოს სახელმწიფო გალერიაში გაიხსნა აფხაზეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. ექსპოზიცია, სადაც წარმოდგენილია ფერწერა, სკულპტურა და გრაფიკა, გამოირჩევა თემატიკის მრავალფეროვნებით. ყურადღებას იქცევს მ. ეშბას, ო. ბრენდელის, ნ. ავიძბას, ი. ჰკადუას, ვ. შიეგლოვის, რ. აფაქიძის, ს. გაბელიას, ვ. ლაკერბაიას, ვ. გაგულია-ავიძბას, ჰ. კუკულაძის, ტ. ამპარის, რ. აფაქიძის და სხვ. საინტერესო ნაწარმოებები. ექსპოზიციაშია 36 ავტორის 160 ნამუშევარი.

გამოფენა გახსნა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილემ **ა. დვალიშვილმა,** რომელმაც მაღალი შეფასება მისცა აფხაზი მხატვრების ნამუშევრებს. შემდეგ ვერნისაჟზე გამოვიდა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი **უ. ჯაფარიძე.** მან ქართველი მხატვრების სახელით მიულოცა გამოფენის მონაწილეებს დიდი შემოქმედებითი წარმატება. სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი **ა. ქუთათელაძე** და აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **მ. ეშბა.**

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები **პ. როდიონოვი, მ. გოგიჩაიშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **შ. სიხარულიძე? ,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ო. თაქთაქიშვილი.**

# მსოფლიო დღეს

### გენერალურ ასამბლეაზე

## გესტაპოს მემკვიდრენი

**ნიუ-იორკი.** 4 ნოემბერი (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დელეგატებს დაურიგეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისრაელის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის გამომძიებელი სპეციალური კომისიის მოხსენება.

შემაძრწუნებელია მოწმეთა ჩვენებანი, რომლებიც კომისიის წევრებმა მოაგროვეს. მოხსენებაში აღწერილია ისრაელ ხელისუფალთა მხეცობა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის წინააღმდეგ, დაპატიმრებულთა წამება გესტაპოს მეთოდებით, სოფლების მოსპობა.

კუნეიტრის მცხოვრები საადინ ქამალი „დასაჯეს" იმისათვის, რომ არ გავიდა იძულებით სამუშაოებზე. მას მაშით დაუგლიჯეს ფრჩხილები, ჩამოაგლიჯეს ქუთუთოები, თავს უჭყლიტავდნენ, სანამ გონება არ დაკარგა. წამების შედეგად ქამალი დაბრმავდა.

მოწმე შეიხ-ეიდს თვალი ამოთხარეს, ხელის თითები გადაუმტვრიეს, თავის ქალა გაუპეს. ოფიცრის ბრძანებით ისრაელ ჯარისკაცს მისთვის თავში ცული დაურტყამს, ჰოსპიტალიდან გამოსვლის შემდეგ შეიხ-ეიდს სამ თვეს აწამებდნენ საპყრობილეში, რადგან ეჭვი მიიტანეს, რომ წინააღმდეგობის ორგანიზაციის წევრი იყო. მისი დაპატიმრების დღეს ისრაელებმა მის სოფელში 600 სახლი დაანგრიეს.

მწვანილის გამყიდველს ისა ქხატაბუს ყოველდღე ყელამდე მარხავდნენ მიწაში და პირს მარილით უტენიდნენ. ასე ტოვებდნენ დიდხანს. მის 250 ამხანაგს ბანაკში ყოველდღე აწამებდნენ ელექტრონით და შლანგებით ასხამდნენ წყალს ორგანიზმში, ჯაჭვით აბამდნენ კედელზე, ძაღლებს უსევდნენ, შემდეგ კი ასევე ჩამოკიდებულს ტოვებდნენ, სანამ სისხლისაგან არ დაიცლებოდნენ.

მოხსენებაში, რომელშიც 200-ზე მეტი გვერდია, მოყვანილია უამრავი ასეთი ფაქტი, რომელთა სიმართლე, როგორც თვით კომისიის წევრები აცხადებენ, ეჭვს არ იწვევს.

ისრაელის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაავრცელა განცხადება, სადაც აშკარა ცინიზმით ნათქვამია, რომ ისრაელი უარყოფს ამ მოხსენებას, უარს ამბობს მის განხილვაზე და რაიმე თანამშრომლობაზე კომისიის წევრებთან.

## „ზონდ-8" სამშობლოში ბრუნდება

**დელი**

**დელი.** 4 ნოემბერი. (საქდესი). ბომბეის ნავსადგურში ჩამოვიდა საბჭოთა ოკეანოგრაფიული გემი „სემიონ ჩელუსკინი", რომლის გემბანზეა ავტომატური სადგური „ზონდ-8". ამ სადგურმა რამდენიმე დღის წინათ წარმატებით დაამთავრა მორიგი კოსმოსური ექსპერიმენტი.

27 ოქტომბერს, შვიდი დღის ფრენის შემდეგ, რომლის დროს მთვარეს შემოუფრინა, ავტომატური სადგური „ზონდ-8" დაბრუნდა დედამიწაზე და ზუსტად დაეშვა წყალზე ინდოეთის ოკეანის აკვატორიუმის გათვალისწინებულ რაიონში.

4 ნოემბერს სპეციალური თვითმფრინავი სამშობლოში მიიტანს კოსმოსურ ავტომატურ სადგურ „ზონდ-8"-ს.



**სამხრეთი იემენი.** მიუხედავად ეკონომიური ჩამორჩენისა, კოლონიალიზმმა მემკვიდრეობად რომ დაუტოვა ამ ახალგაზრდა სახელმწიფოს, ქვეყანაში ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები დემოკრატიული და სოციალური გარდაქმნებისათვის. რესპუბლიკაში აშენდა საავადმყოფოები, სკოლები. მოსწავლეთა რიცხვი ამ ერთ წელიწადში 37 პროცენტით გაიზარდა.

ფოტო ადნ-საქდესისა

**ბონი**

## პროვოკაციული გამოხდომა

**ბონი,** 3 ნოემბერი. (საქდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას განზრახული აქვს გამოიძიოს პროვოკაციული გამოხდომა, რომელიც ვირცბურგში მოაწყო ნეონაცისტურმა ნაციონალ-დემოკრატიულმა პარტიამ სხვა რევანშისტულ და მილიტარისტულ დაჯგუფებებთან ერთად. სტატს-მდივანმა ალერსმა მთავრობის სახელით დაგმო ნეონაცისტთა თავყრილობა.

ვიურცბურგის „წინააღმდეგობის აქცია" მიმართული იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების და ურთიერთობის ნორმალიზაციისა და დაძაბულობის შენელების პოლიტიკის სხვა გამოვლინებათა წინააღმდეგ.

პრესა აღნიშნავს, რომ ვიურცბურგში თავმოყრილმა 500 პოლიციელმა „ჩაურევლობის პოზიცია" დაიკავა, როცა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მომხრეებმა პროვოკაციული დემონსტრაცია მოაწყვეს ქალაქის ქუჩებში, თუმცა ეს დემონსტრაცია ხელისუფლებმა და სასამართლომ აკრძალეს. პოლიციელები მას შემდეგაც არ ჩაერიულან, როცა ნეონაცისტებმა ცემა დაუწყეს დემოკრატებს, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს ფაშისტური პროვოკაციის წინააღმდეგ.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარემ ფრიდრიხმა მოითხოვა, რომ დაისვას საკითხი ნეონაცისტური პარტიის აკრძალვის შესახებ.

## 4 ნოემბერი — ფაქტები

● **სამოქალაქო** ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საბჭოს პრეზიდენტმა ვალტერ ბინაგიმ, რომელიც მოსკოვში იმყოფება სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს მოწვევით, საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ ორგანიზაციას თავის დიდმნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნია ბრძოლა მეკობრეობასთან, გმობს ასეთ დამნაშავეებს და განზრახული აქვს ამ დაგმობას მიანიჭოს საერთაშორისო კანონის ძალა. ვალტერ ბინაგიმ განაცხადა რომ დანაშაულებრივი იყო თავდასხმა „ან-24" საბჭოთა თვითმფრინავის ეკიპაჟზე რომელიც შემდეგ ძალით დასვეს თურქეთის ერთ-ერთ აეროდრომზე. „ყოველ ღონეს ვიხმართ რათა ბოლო მოვუღოთ ამგვარ აქტებს", — განაცხადა მან.

● **ამანი.** (საქდესი). იორდანიის დედაქალაქში გუშინ მოხდა რამდენიმე შეიარაღებული შეტაკება. როგორც ამანის რადიოთი იორდანიის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა შეიარაღებული პირების ჯგუფმა ამანის ცენტრში მანქანებიდან ცეცხლი დაუშინა იორდანიის პოლიციის პატრულს, რის შედეგადაც ერთი პოლიციელი მოკლეს. პოლიციამ ცეცხლითვე უპასუხა.

● **ტოკიო,** (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების არმიის მიერ ოკუპირებულ იაპონიის კუნძულ ოკინავაზე ორმა ამერიკელმა ჯარისკაცმა გუშინ „გასართობად" ესროლა ხელყუმბარა მაღაზიას ქალაქ კოძაში. აფეთქებამ დაანგრია მაღაზიის ნაწილი. იმავე დღეს ამერიკელმა ჯარისკაცებმა ხელყუმბარა შეაგდეს ამავე ქალაქის საცხოვრებელ სახლში.

● **ვარშავა.** (საქდესი). დღეს პოლონეთის დედაქალაქში დაიწყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. შეელისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. ენდრიხოვსკის მოლაპარაკება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის საფუძვლების თაობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ.

● **ჰანოი.** (საქდესი). როგორც კაოსან პატეტ-ლაოს სააგენტო იტყობინება, 16 აგვისტოდან, ლაოსელმა პატრიოტებმა სიენკუანგის რაიონში მწყობრიდან გამოიყვანეს, მოწინააღმდეგის 1.760 ჯარისკაცი, მათ შორის დიდძალი ტაილანდელი დაქირავებული, ხელთ იგდეს და დაახიანეს 642 ქვემეხი, ჩამოაგდეს 9 თვითმფრინავი, მოსპეს 25 ყაზარმა.

● **ლონდონი.** (საქდესი). გუშინ საღამოს ბელფასტის ცენტრში მოხდა ახალი შეტაკება მოსახლეობასა და ჯარებს შორის. ქალაქის სხვადასხვა რაიონში ააფეთქეს რამდენიმე ბომბი. დღეს ქუჩის შეტაკებათა დროს დააპატიმრეს 50-მდე კაცი.

● **ვაშინგტონი.** (საქდესი). დაახლოებით ყოველ მეხუთე მოზრდილ ამერიკელს სჭირს რაიმე ფსიქიკური სენი, ნათქვამია სპეციალურ მოხსენებაში, რომელიც გამოაქვეყნა ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ.

● **სტამბოლი.** (საქდესი). თურქეთის სახელმწიფო სტატისტიკური ინსტიტუტის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობამ 35,6 მილიონ კაცს მიაღწია. ბოლო 5 წელიწადში მოსახლეობის მატება ყოველწლიურად 2,7 პროცენტს შეადგენდა.

● **ანკარა,** 3 ნოემბერი. (საქდესი). თურქეთის საზოგადოებრიობის დემოკრატიული წრეები მოითხოვენ, რომ დადებითად გადაწყდეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის იმ ორი ბანდიტის გადაცემის საკითხი, რომლებიც 15 ოქტომბერს იარაღით ხელში დაესხნენ თავს ან-24 თვითმფრინავს.

თურქეთის ერთ-ერთი უძველესი გაზეთი „ულუსი" აცხადებს, რომ თურქეთი „დაუყოვნებლივ უნდა შეუერთდეს იმ ქვეყნებს, რომლებიც ახლა ასრულებენ მომტაცებელთა გადაცემის ნორმებს". გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს რომ თუ დამნაშავენი თურქეთში დარჩებიან, „ეს წააქეზებს სხვა დამნაშავეებს ასეთი მოქმედებისათვის".

ფაქტები — 4 ნოემბერი

**ნიუ-იორკი**

## დემოკრატები ლიდერობენ

**ნიუ-იორკი,** 4 ნოემბერი. (საქდესი). შეერთებულ შტატებში გრძელდება ხმების დათვლა კონგრესის შუალედური არჩევნების შემდეგ, რომელიც გუშინ გაიმართა, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ხელახლა ირჩევდნენ 35 სენატორსა და წარმომადგენელთა პალატის 435 წევრს.

წინასწარი მონაცემებით რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც ახლა სათავეში უდგას ხელისუფლებას, ვერ მიაღწია თავის მიზანს — ვერ უზრუნველყო კონტროლი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიმართ. დემოკრატიული პარტიის კანდიდატებმა ამერიკის შეერთებული შტატების სენატის არჩევნებში უკვე გაიმარჯვეს 19 შტატში. თუ გავითვალისწინებთ, რომ 32 დემოკრატი სენატორი არ უნდა იქნეს გადარჩეული, დემოკრატებმა ამრიგად გაინაღდეს უმრავლესობა სენატში. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან ჩანს, მათ გამარჯვების კარგი შანსი აქვთ კიდევ ხუთ შტატში.

დემოკრატიული პარტიის კანდიდატებმა უკვე მიიღეს 218 ადგილი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კონტროლს უწევდნენ წარმომადგენელთა პალატას. მოელიან, რომ ისინი კიდევ მიიღებენ 32 ადგილს.

## შენთვის, საყვარელო სამშობლოვ!

# ვაზი — ქართული მიწის დიდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიმდიდრის წყარო



რთველი ტრაქტორების გუგუნმა შეცვალა. გურჯაანის რაიონის ზვრებში დაიწყო ვენახების საშემოდგომო ხვნა. უცხო თვალი, რომელიც ახლა ვაზის ფოთოლცვენას შეხედავს, ძნელად დაიჯერებს, რომ ამ უკვე გაცრეცილი ვენახებიდან წელს სახელმწიფოს 75 ათასი ტონა ყურძენი ჩაბარდა.

გულუხვ შემოდგომას წინ დიდი გარჯა უძღოდა. ვაზს წელიწადის ყოველ დროს თანაბარი მოვლა-პატრონობა უნდა. ხნავდნენ, სხლავდნენ, ფურჩნიდნენ თუ წამლობდნენ, გურჯაანელ მევენახეებს ალაფრთოვანებდა დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების საიუბილეო განწყობილება, მზადება საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. განსაკუთრებით დიდი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია ცნობამ, რომ 1971 წლის მარტში მოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIV ყრილობა, რომელიც ახალ ჰორიზონტებს დასახავს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ვაზი გურჯაანის რაიონში წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში ვენახი იძლევა მთელი შემოსავლის 70 პროცენტზე მეტს. სწორედ ამიტომ, სოფლის მეურნეობის სხვა დარგების ზიანის მიუყენებლად, მევენახეობა გურჯაანის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია.

ამ ათიოდე წლის წინათ საზოგადოებრივი ვენახები და მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებული ვენახები დაახლოებით თანატოლი იყო ფართობითაც და მოსავლიანობითაც. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზვრებმა 8.800 ჰექტარს გადაამეტა და უკვე ორჯერ აღემატება საკარმიდამო ვენახებს,

საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესი განვითარებისათვის თანმიმდევრულმა ზრუნვამ უზრუნველყო რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცება, რაც საერთოდ სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის სანძირკველს წარმოადგენს. რაიონის თხუთმეტივე კოლმეურნეობა რენტაბელურია, ხოლო მევენახეობის ოთხივე საბჭოთა მეურნეობა და ორივე სახელმწიფო სანერგე მეურნეობა ზეგეგმითს მოგებას იძლევა.

მოწინავეთა შორის პირველ რიგში იქცევს ყურადღებას ვაზისუბნის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე რ. მღებრიშვილი, პარტბიუროს მდივანი ლ. ჭავახიშვილი). ეს სოფელი მართლაც ვაზის უბანია. კოლმეურნეობის ზვრებს 890 ჰექტარი უჭირავს და აქედან 720 ჰექტარი მსხმოიარეა. სრულმოსავლიან ვენახებში მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერს გადააჭარბა. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 8 ათას ტონამდე ყურძენი, გეგმა კი 3.500 ტონას ითვალისწინებს.

სამი წლის ისტორია აქვს გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას. იგი ორი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა. ეს საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი უ. შავლიაშვილი, პარტბიუროს მდივანი შ. შუშტაკაშვილი) ზედიზედ მესამე წელია მაღალრენტაბელურია. განსაკუთრებით სანაქებოა წლევანდელი შედეგი. აქ 65 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე 109,5 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, მეურნეობამ 1.711 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 3.641 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი მიჰყიდა. მარტო იმ ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი გიორგი ზარდიაშვილი უდგას სათავეში, 18 ჰექტარ ვენახში, 99-ის ნაცვლად 219 ტონა ყურძენი მიიტანა მარანში და 90 ათასამდე მანეთი შემოსავალი მიიღო.

ყურძნის წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები ასევე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს შრომის და მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებმა, ვეჯინის და კოლაგის სახელმწიფო სანერგე მეურნეობებმა, ჩუმლაყის, ველისციხის, ჭანდრის, შაშიანის, არაშენდის, კაჭრეთის, ნანიანის, მახარაძის, ბაკურციხის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ხუთწლედის დამამთავრებელმა წელმა კიდევ უფრო გაამრავლა წარჩინებულ მევენახეთა რიცხვი, და კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ავანგარდში კომუნისტები არიან. სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ მექვევრიშვილი ველისციხის კოლმეურნეობიდან, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მიხეილ მარჩილაშვილი შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობიდან, გიორგი ჩივაძე ჩუმლაყის კოლმეურნეობიდან, აკაკი თათრიშვილი მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობიდან, შოთა სტეფნაძე ჭანდრის კოლმეურნეობიდან, — აი არასრული სია იმ კომუნისტებისა, რომლებიც იმის მაგალითს იძლევიან, თუ როგორ უნდა მოუარონ ვენახს და მოიყვანონ უხვი მოსავალი.

რაიონში დაგეგმილი 53.200 ტონის ნაცვლად 75 ათასი ტონა ყურძნის შემჭიდროებულ ვადებში მოკრეფა და გადამუშავება უზრუნველყო რთვლის კარგმა ორგანიზაციამ, სოფლის პარტიული ორგანიზაციების გონივრულმა ორგანიზატორულმა მუშაობამ. მთელი ერთი თვის მანძილზე ყურძნის კრეფასა და გადაზიდვაში დასაქმებული იყო ყოველდღიურად 15 ათასზე მეტი მშრომელი. წარმატებით იმუშავეს სამტრესტის ღვინის ქარხნებმა, რომლებიც დროულად მოემზადნენ დიდი რთვლისათვის და შეუფერხებლად მიიღეს მევენახეთა შრომის ნაყოფი. მუკუზნის ღვინის ქარხანათა სამმართველოს საწარმოებში გადაამუშავა 40 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, გურჯაანის ღვინის ქარხანამ 8.411 ტონის ნაცვლად მიიღო და გადაამუშავა 13 ათასამდე ტონა, კარდანახის ღვინის ქარხანამ (კაჭრეთის საამქროს ჩათვლით) — 12.900 ტონის ნაცვლად 16.500 ტონაზე მეტი და ა. შ.

გურჯაანის რაიონის პარტიული ორგანიზაცია, აჯამებს რა ხუთწლედის წინასწარ შედეგებს, ერთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ მევენახეობის განვითარების რეზერვები ამოწურული არ არის. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახების სიმეჩხრე, რაც ზოგან 20 პროცენტს აჭარბებს. ჩვენს მევენახეებს აგრეთვე მიაჩნიათ, რომ საჭიროა გაძლიერდეს მეცნიერებათა დახმარება ვენახების მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლაში. კერძოდ, საქმე ეხება ყურძნის ჭიის საზიანო შედეგებს.

გურჯაანის რაიონის მევენახეები, პარტიული ორგანიზაციების წინამძღოლობით, ყველა შესაძლებლობას გამოიყენებენ, რომ პრაქტიკულად განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, შეინარჩუნონ და გაამრავლონ წარმატებები, ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას და საბჭოთა საქართველოს დიდ ეროვნულ დღესასწაულს.

**შ. ბასილაშვილი,**
საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.



შესტაფონის რაიონის მევენახეებმა ხუთწლედის მეხუთე წელს წარმატება მოიპოვეს, ნაცვლად 23.000 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 28.264 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. გეგმის შესრულებაში საპატიო წვლილი შეიტანეს არგვეთის საბჭოთა მეურნეობის მევენახეებმა. მათ წლიური გეგმა გადამეტებით შეასრულეს. თავი გამოიჩინა პირველმა აგროგანყოფილებამ, რომელსაც ბესარიონ კობახიძე ხელმძღვანელობს, აგრეთვე სოციალისტური შრომის გმირმა დომენტი ლელაძემ.

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი დ. ლელაძე და ბ. კობახიძე რთველში.

## ასე ვიზარდეთ!

### 1960 წელს

| საზოგადოებრივ სექტორში: | კერძო სექტორში: |
| --- | --- |
| ვენახების ფართობი — 42,8 ათასი ჰექტარი | ვენახების ფართობი — 42,8 ათასი ჰექტარი |
| ყურძნის დამზადება — 62,8 ათასი ტონა | ყურძნის დამზადება — 30,2 ათასი ტონა |

### 1965 წელს

| საზოგადოებრივ სექტორში: | კერძო სექტორში: |
| --- | --- |
| ვენახების ფართობი — 64 ათასი ჰექტარი | ვენახების ფართობი — 42 ათასი ჰექტარი |
| ყურძნის დამზადება — 141,2 ათასი ტონა | ყურძნის დამზადება — 103,6 ათასი ტონა |

### 1970 წელს

| საზოგადოებრივ სექტორში: | კერძო სექტორში: |
| --- | --- |
| ვენახების ფართობი — 71,3 ათასი ჰექტარი | ვენახების ფართობი — 42,3 ათასი ჰექტარი |

წელს დამზადებული 385 ათასი ტონა ყურძნიდან დიდი უმეტესობა საზოგადოებრივი სექტორიდანაა.

## სიტყვას ვაძლევთ მოწინავეებს

### ტიბაანური

ათი წლის წინათ ტიბაანში ჩამოყალიბდა მევენახეობის სანერგე საბჭოთა მეურნეობა. იმავე წელს ოცი ჰექტარი ყამირი გასუფთავებულ იქნა ჯაგნარისა და ქვაღორღისაგან, დაპლანტაჟდა და პირველ ათეულ ჰექტარზე ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირე დაირგო.

მეურნეობას ამჟამად 32 ჰექტარი ფილოქსერაგამძლე ვაზის სადედე და 20 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი აქვს, საიდანაც ყოველწლიურად 1,3-1,5 მილიონ ვაზის ნერგს ამზადებს და ყურძნის უხვ მოსავალსაც იღებს.

სტანდარტული ლერწის გამოსავლიანობამ შარშან ჰექტარზე საშუალოდ 40.000 ცალს გადააჭარბა, ხოლო ნერგის გახარებამ 40-ის ნაცვლად 50 პროცენტს მიაღწია. წელს საშუალოდ ჰექტარზე 103 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ.

მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, მექანიზაციისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის გზით მეურნეობა დღითიდღე ზრდის შრომის ნაყოფიერებას და დავალებებს ყოველწლიურად 120-130 პროცენტით ასრულებს. 1962 წლიდან მეურნეობა რენტაბელურია და დიდ მოგებას აძლევს სახელმწიფოს. მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ამ თანხამ 210.000 მანეთი შეადგინა.

**ა. ბიძინაშვილი,**
ხილნალის რაიონის ტიბაანის სანერგე მეურნეობის დირექტორი.

### წინანდლიდან საზღვარგარეთ

წელს ჩვენი ღვინის ქარხნის მუშაკებს დიდი ჯაფა დაადგათ — მოზღვავებული ყურძნის გადამუშავება მოკლე დროში არც თუ ისე იოლი იყო. მაგრამ ჩვენი მეღვინეები ენერგიის დაუზოგავად შრომობდნენ და სიძნელეებიც დაძლიეს. ნაცვლად 13.700 ტონისა 17.463 ტონა ყურძენი გადაამუშავეს.

„წინანდალი“ ქართული ღვინის სიამაყეა, ოთხი ოქროს და 12 ვერცხლის მედლის კავალერია. ამიტომ ვცდილობთ უფრო ავამაღლოთ მისი ხარისხი, რომ მომხმარებელი მადლიერი გვყავდეს.

**ა. უთიაშვილი,**
წინანდლის ღვინის ქარხანათა სამმართველოს დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი.

### მომავალზე ზრუნვა

მართლაც ოქროს შემოდგომა იყო ყვარლის ზვრებში. ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ გეგმა გადამეტებით შეასრულა. რაიონმა გეგმით გათვალისწინებული 19.500 ტონისა და ვალდებულებით ნაკისრი 21.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 24.200 ტონა ყურძენი მიჰყიდა.

ამ გამარჯვებაში ჩვენმა მევენახეებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს, ნაცვლად 2.600 ტონისა სახელმწიფოს მივყიდეთ 3.512 ტონა ყურძენი. ჩვენმა ბრიგადამ გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 1.080 ცენტნერი ყურძენი. ახლა ისევ ვენახებში ვართ. მთელ რაიონში წარმატებით მიმდინარეობს მიწის დამუშავება, საფუძველს ვუყრით მომავალი წლის უხვ მოსავალს.

**ანა სალირაშვილი,**
ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

### მხოლოდ მაღალხარისხოვანი

წელს ბარაქიანი შემოდგომა ჰქონდათ თერჯოლელ მშრომელებს. განსაკუთრებით გაამართლა ზრუნვა ვაზმა. რაიონში წლიური გეგმით უნდა მოკრეფილიყო 14 ათასი ტონა ყურძენი. ფაქტიურად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს და ღვინის ქარხნებს გადასამუშავებლად ჩააბარეს 17 ათას ტონაზე მეტი.

თერჯოლელ მევენახეთა ამ წარმატებაში ჩემი წვლილიც არის. როცა სამეურნეო წელი იწყებოდა, ვიკისრე ჰექტარ ვენახის ფართობზე მიმეღო 100 ცენტნერი ხარისხოვანი ყურძენი. საგულდაგულოდ მოვლილმა ვაზმა მოლოდინს გადააჭარბა. მივიღე 130 ცენტნერი ყურძენი.

1971 წელს ყურძნის მოსავალს უფრო დავახვავებ.

**გ. რთველიაშვილი,**
თერჯოლის რაიონის თუზის კოლმეურნეობის მევენახე.

### ჩვენი ზვრებისა და მარნების ქებათა-ქება!

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც სვამდნენ ისეთ მშვენიერ ღვინოს, როგორსაც საქართველოში.

**შარდენი,**
ფრანგი მოგზაური.

●

უკანასკნელ წლებში მთელ რუსეთში გავრცელდა კავკასიის, ყირიმისა და სხვა ღვინოების მოხმარება, რომლებიც სათანადო დაყენებისა და დავარგებისას გამოირჩევიან მაღალი თვისებებით. ეს განსაკუთრებით ეხება ამიერკავკასიას (კახეთი), რომელსაც ვაზის სამშობლოდ თვლიან.

**დ. მენდელეევი.**

●

ვხვამდი და აღფრთოვანებული ვიყავი. ღვინოში ყველაზე მეტი მზეა. გაუმარჯოს ხალხს, რომელმაც იცის ღვინის დაყენება და მისი მეშვეობით მზის ენერგია შეაქვს ადამიანის სულში.

**მ. გორკი.**

●

თქვენს ღვინოში ჩაქსოვილია ქართველი ხალხის ჯადოსნური თვისებების სამი შესანიშნავი ღირსება: სიმაგრე, სინაზე, სიმტკიცე.

მივესალმები ქართულ მიწას!

**მ. შოლოხოვი.**

## ღვინოში მზეა



არნახული წარმატება მოიპოვეს საქართველოს მევენახეებმა მიმდინარე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. დიდი გადამეტებით შეასრულეს სკკპ XXIV ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი და სახელმწიფოს ნაცვლად 320 ათასი ტონისა 385 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი მიჰყიდეს.

მევენახეთა გარჯის ნაყოფი, საქართველოს მიწა-წყლისა და მზის მადლი ჩვენს მარნებშია დაბინავებული და მეღვინეთა, გამოცდილ ტექნოლოგთა საიმედო ხელშია. ახლა ყველაფერი მათზეა დამოკიდებული: თუ როგორ იშრომებენ სანაქებო ქართული ღვინოების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ კვლავაც ასახელონ საქართველოს ზვრები, მევენახე და ქართული ქვევრ-მარანი.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მუშაკი მსაუბრა „სამტრესტის“ მმართველს გ. თუშმალიშვილს და სთხოვა მკითხველისათვის მოეთხრო საქართველოს მეღვინეობის განვლილ გზასა და მომავალზე. ვბეჭდავთ ამ საუბრის ჩანაწერს.

საბჭოთა კავშირში საქართველოს მევენახეთა წვლილი რაოდენობის მხრივ არც თუ ისე დიდია, — თქვა ამხ. გ. თუშმალიშვილმა, — მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მევენახეებისა და მეღვინეების ნახელავი მხოლოდ უმაღლესი ხარისხით განიზომება და ამით ჩვენ პირველ ადგილზე ვართ. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახელოთ 90 ოქროს და 96 ვერცხლის მედალი, რომლებიც ქართულმა ღვინოებმა დაიმსახურეს საკავშირო და მსოფლიო კონკურსებსა და დეგუსტაციებზე. მაგრამ ის, რაც წელს ჩვენმა მევენახეებმა გააკეთეს, სიამაყის გრძნობით აღგვავსებს. ამდენი ყურძენი საქართველოს სახელმწიფო მარნებში დღემდე არ დაწურულა. ამასთან წლევანდელი მოსავლის ყურძნის დიდი უმეტესობა მაღალხარისხოვანია.

შესანიშნავად მოირთვლიანეს ჩვენმა მევენახეებმა, ახლა ჩვენი მეღვინეების ჯერია. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს მეღვინეები არ შეარცხვენენ ქართული ზვრებისა და მარნების საუკუნეთა მანძილზე შექმნილ სახელს, ჩვენი მშრომელებისათვის კვლავაც დააყენებენ ჩინებულ ღვინოებსა და კონიაკებს.

ვაზის კულტურისა და ღვინის დაყენების განვითარება ხომ განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი ერის ისტორიასთან. ძველთაგანვე ყურძნის მტევანი და ღვინო მეგობრობის სიმბოლოა. ქართველი ხალხი სიყვარულით უვლიდა ვაზს, ქმნიდა და თაობიდან თაობას გადასცემდა სულ უფრო სრულყოფილ აგროტექნიკასა და ღვინის დაყენების ტექნოლოგიას. ჯერ კიდევ 1772-1773 წლებში ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა საქართველოში მოგზაურობისას დაწერა: „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც სვამდნენ ისეთ მშვენიერ ღვინოს, როგორსაც საქართველოში“.

საქართველოს ღვინის მრეწველობა 45-ზე მეტი სახის სამარკო და ორდინარულ ღვინოს ამზადებს. მათ შორისაა: სუფრის (მშრალი), ნახევრადტკბილი (შემაგრებული), სადესერტო და ცქრიალა (საბჭოთა შამპანური და ნატურალური ცქრიალა — ნახევრადტკბილი) ღვინოები, სამარკო და ორდინარული კონიაკები, აგრეთვე ყურძნის წვენი და სხვა პროდუქტები. ჩვენში სუფრის თეთრი ღვინოები სამგვარი წესით მზადდება. ევროპული (ამ დროს ტკბილი — ყურძნის ნაწური უჭაჭოდ დუღს), ადგილობრივი-კახური (როცა ტკბილი დუღს ჭაჭასთან და კლერტთან ერთად) და იმერული (როცა ტკბილი ჭაჭის მცირე ნაწილთან ერთად დუღს).

ურიგო არ იქნება ჩვენს მკითხველს შევახსენოთ, რომ ევროპული წესით მზადდება „წინანდალი“, „გურჯაანი“, „ცოლიკოური“, „მუხრანული“, „ნაფარეული“, „საერო“, „იმერული“, კახური წესით მზადდება „კახური“ და „ტიბაანი“, იმერული წესით კი — „სვირი“. სუფრის წითელ ღვინოებს ვამზადებთ ძველთაგანვე ჩამოყალიბებული კლასიკური ტექნოლოგიით (ევროპული და ადგილობრივი-კახური). ესენია „მუკუზანი“, „ნაფარეული“, „საფერავი“, „თელიანი“.

ჩვენს შესანიშნავ ღვინოებს, როგორც ადამიანს, თავისი სამშობლო აქვს, მშობლიური ადგილების არომატი მათში სამუდამოდ ინახება. ქართულ ღვინოებს თავისი განუმეორებელი ხასიათი და გემო აქვს, რასაც იშვიათად შეხვდებით იმავე კატეგორიის სხვა ჩვენს თუ ევროპულ ღვინოებში, ეს არის სიფაქიზე, ჰარმონიულობა, ხალისიანობა, ბუკეტი და არომატი.

ქართული ღვინის წარმოშობის ასაკის ზუსტად განსაზღვრა ძნელია. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ჩვენს სახელგანთქმულ კონიაკებზე. ქართული კონიაკის „დაბადების“ თარიღი 1888 წელია. მისი ავტორი ცნობილი ქართველი ტექნოლოგი და მეცენატი დ. სარაჯიშვილია. ჯერ კიდევ 1889-1904 წლებში სრულიად რუსეთისა და საერთაშორისო გამოფენებზე ქართულმა კონიაკმა თერთმეტი მედალი დაიმსახურა, აქედან ექვსი ოქროსი იყო, ხოლო 1955-1969 წლებში — 39 მედალი. აქედან 28 ოქროსი და 11 ვერცხლის მედალია.

ცნობილია, რომ თბილისის კონიაკის ქარხანა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უძველესი საწარმოა. აქ ტრადიციად არის დამკვიდრებული, რომ დიდმნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით გამოუშვან ახალი კონიაკი. ჯერ კიდევ 1901 წელს რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავის აღსანიშნავად გამოუშვეს კონიაკი „ძალიან ძველი“. ეს კონიაკი მიიღება 12-15 წლის ასაკის საკონიაკე სპირტის კუპაჟით. კონიაკი „ენისელი“, რომელიც ხუთი ოქროსა და სამი ვერცხლის მედლის კავალერია, პირველად გამოშვებულ იქნა 1946 წელს საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავის აღსანიშნავად, ხოლო „თბილისი“, რომელიც 6 ოქროსი და ერთი ვერცხლის მედლის პრიზიორია, გამოვიდა 1958 წელს თბილისის 1500 წლისთავის საიუბილეოდ.

სულ მალე საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავთან დაკავშირებით მომხმარებელი მიიღებს კონიაკ „საიუბილეოს“, რომელიც ორმოცდაათწლიანი საკონიაკე სპირტის კუპაჟით დამზადდება. გარდა ამისა, საქართველოს საიუბილეოდ გამოვა სამარკო კონიაკები „საქართველო“, „აფხაზეთი“ და „ჭაჭის არაყი“, განახლებული, ლამაზი ეტიკეტებით გამოვუშვებთ ქართულ ღვინოებს.

„სამტრესტის“ ნაწარმის რუკა თითქმის მთელ მსოფლიოს მოიცავს. ჩვენი ღვინოები, კონიაკები და სხვა პროდუქტები, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის გარდა იგზავნება ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, იტალიაში, ინდოეთში და დემოკრატიულ ქვეყნებში. ყოველივე ეს ჩვენს ტექნოლოგებს, თვითეულ მეღვინეს დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს. ასეა წელსაც.

ყურძნის მიღება-გადამუშავებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუკუზნის, გურჯაანის, წინანდლის, ნაფარეულის, ზესტაფონის, თერჯოლის და სხვა ქარხნებმა.

წელს ჩვენ ახალი მოსავლის ყურძნისაგან უნდა დავამზადოთ 28 მილიონი დეკალიტრი ღვინო. მიმდინარე წლის მოსავლიდან გაისად ჩამოვასხამთ 13-14 მილიონ დეკალიტრს. დასაძველებლად გამოვყოფთ 2 მილიონ დეკალიტრს, ხოლო 800 ათასი დეკალიტრი უცხოეთში გაიგზავნება.

შარშან საერთაშორისო კონკურსი ბუდაპეშტში გაიმართა. აქ ოქროს მედლები დაიმსახურეს ღვინოებმა „წინანდალმა“, შამპანურმა და კონიაკმა „ვარძიამ“, ხოლო ვერცხლის — „გურჯაანმა“, „ნაფარეულმა-28“, „მუკუზანმა“, „კარდანახმა“ (პორტვეინმა), კონიაკმა „გრემმა“, ბრინჯაოსი — „კარდანახმა-გახურმა“.

მიმდინარე წელს საერთაშორისო კონკურსი მოეწყობა იალტაში, სადაც ფართოდ იქნება წარმოდგენილი ქართული ღვინოები და კონიაკები. თითქმის ყველა ჩვენი სამარკო ღვინო და კონიაკი შეეჯიბრება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ღვინოებსა და კონიაკებს. იმედი მაქვს — ამჯერადაც ჩვენი სანაქებო სასმელები ბევრ ოქროსა და ვერცხლს დაიმსახურებენ ჯილდოდ.

## აი ისინი, ხუთწლედის გმირები



**ალ. ჯიხვაძე,**
ყვარლის რაიონის შიკაანის კოლმეურნეობის მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი.



**ნ. ქევხიშვილი,**
თელავის რაიონის აკურის კოლმეურნეობის მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი.



**ი. ფულარიანი,**
მაიაკოვსკის რაიონის დიმის კოლმეურნეობის მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი.



**ვ. ხუცურაული,**
ხილნალის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.



**ვ. მაღლაკელიძე,**
ვანის რაიონის ზეინდრის კოლმეურნეობის მევენახე, ლენინის ორდენოსანი.

# საქართველოს მთა-ბარში

## ფილმის გმირი — სახელოვანი ფეიქარი

ყაზბეგი. (საკ. კორ.). ხევში ჩამოვიდნენ საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის რეჟისორი ა. კერესელიძე, ოპერატორი ნ. ჭუმბურიძე და სხვები, რომლებიც გადაიღებენ მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს „მისი ვარსკვლავი“. ფილმი ეძღვნება სახელოვანი მოხევე ქალის, ცნობილი ფეიქრის, სოციალისტური შრომის გმირის ვერა ქეშაშვილის ცხოვრებას და შრომით საქმიანობას.

ყაზბეგის რაიონშივე მიმდინარეობს სატელევიზიო ფერადი დოკუმენტური ფილმის „დარიალის“ გადაღება.

ფილმის სცენარი ეკუთვნის ვ. სულაკაურს, რეჟისორია ბ. ხოტივარი, ოპერატორები — თ. მოდებაძე და გ. ბარნაველი.

## უებარია...

მდინარე ცივში წყალი მართლაც ცივია, მაგრამ ბუნებაში საოცრება ხდება. დიდი ხნის წინათ ამ მდინარის ნაპირებზე ამოჩუხჩუხდა ლია ცისფერი მინერალური წყაროები. ეს დიდებული სამკურნალო წყალი მენჯშია, ქალაქ ცხაკაიადან სამი კილომეტრის დაშორებით. — მენჯის გოგირდწყალბადიანი მინერალური წყალი, — გვიყვება კურორტ მენჯის მთავარი ექიმი გ. კალანდარიშვილი, — შეიცავს ნატრიუმს, კალციუმს, კალიუმს, მაგნიუმს, ქლორს, სულფატს, რკინისა და ალუმინის ჟანგეულებს, სილიციუმს...

კურორტი მენჯი გულსისხლძარღვთა და საყრდენ-სამოძრაო ორგანოების სამკურნალო სპეციალიზებული სანატორიუმია. აქ წარმატებით მკურნალობენ გულის მანკს, გულის კუნთის ქრონიკულ ანთებას, პერიკარდიტს, ათეროსკლეროზს, შამბლიტერებელ ენდატერიტს, ჰიპერტონიულ, სახსრების ქრონიკულ რევმატიულ, ინფექციურ ანთებას, რადიკულიტს და პერიფერიული ნერვული სისტემის სხვა ქრონიკულ დაავადებებს.

მენჯის სანატორიუმი „კოლხიდა“ სამი კორპუსით, სააბაზანო პოლიკლინიკა, ფიზიოთერაპიული განყოფილება, ამიერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფო ნაყოფიერად მუშაობენ. ამ კურორტზე ავადმყოფების მკურნალობა შეიძლება წლის ყველა დროს და ყოველწლიურად თორმეტი ათასზე მეტი ავადმყოფი მკურნალობს.

კურორტის ექიმები, ექთანები, მთელი მომსახურე პერსონალი გულისხმიერად ეპყრობიან სამკურნალოდ ჩამოსულებს. ამ სახელოვანი კოლექტივის მუშაკებიდან ძნელია რომელიმე ცალკე გამოჰყო. მაგრამ მათ შორის მაინც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კურორტ მენჯის მთავარ ექიმ გ. კალანდარიშვილის, სააბაზანოს მთავარ ექიმ დ. ხორავას, ღვაწლმოსილი ექიმის, ლენინის ორდენოსან ნატაშა ფრანგიშვილის, რეგისტრატორ ჟენია ქაჩიბაიას, მარგო გვასალიას, ექთანების — ალექსანდრა ხოშტარიას, ლიდა ლომიას, ნაზი ძაძამიას და სხვათა დაუღალავი მუშაობა.

მოდიან ავადმყოფები! მიდიან განკურნებულნი და კმაყოფილნი! აი რა არის უებარი მენჯის წყალი.

**ნ. ჯანჯღავა,**
**ბ. მილიუტინი.**

## ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულებით ამხ. სერგი იასონის-ძე ქაჯაია განთავისუფლებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულებით ამხ. თამაზ გრიგოლის-ძე შავგულიძე დაშვებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე მის არჩევამდე.

შემთხვევა

## ორი ბავშვი გადაარჩინა

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საღამოვდებოდა, ნორჩები საბავშვო ბაღებიდან მოჰყავდათ. ოთხი წლის ქიშვარდი შეეხო ქუჩაზე დაგდებულ მავთულს, რომელიც ელექტროძაბვის ქვეშ ყოფილიყო. ბავშვი დენმა მიიკრა. პატარა ქიშვარდის უფროსი და მადონა მიეშველა, მაგრამ დენმა ისიც ძმას მიაჯაჭვა. ორი ბავშვის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ისინი თითქმის განწირულნი იყვნენ.

საბედნიეროდ, შემთხვევის ადგილზე აღმოჩნდა ინჟინერი ალ. გოგოლიძე, რომელიც არ დაიბნა. მან მოისაზრა, სწრაფად გაიძრო კოსტუმი, ხელებზე დაიხვია და ბავშვები მავთულს მოაცილა შემდეგ მათ სასწრაფო დახმარება აღმოუჩინა.

ალ. გოგოლიძის მოსაზრებულობა-გამბედაობამ ორი ბავშვის სიცოცხლე იხსნა.

საბჭოთა სომხეთის 50 წლისთავისათვის

## მეგობრობის კონცერტი

ახლოვდება სომეხი ხალხის დიდი ზეიმი — საბჭოთა სომხეთის 50 წლისთავი. ამ თარიღს ეძღვნება ლიტერატურის საღამოები, კონცერტები, რადიო და ტელეგადაცემები.

გუშინ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში სომხური მუსიკის დღე იყო. გამოდიოდნენ სომხეთის სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი და ერევნის სახელმწიფო საოპერო თეატრის სოლისტები ო. ბაბაიანი და ა. აირიანი. შესრულდა ა. ბაბაჯანიანის, ე. მირზოიანის, ვ. ტიგრანიანის, ჯ. ტერ-თათეოსიანის, ა. ხუდოიანის ნაწარმოებები.

დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში თბილისელები მოისმენენ სომხურ სიმფონიურ მუსიკას. შესრულებული იქნება ა. სპენდიაროვის, მ. ჩიტიანის, ა. არუთინიანის და ლ. საროიანის ნაწარმოებები. გამოვა სომხეთის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მევიოლინე ა. ციციკიანი. კონცერტს უდირიჟორებს დ. ხანჯიანი.

ქართველ კომპოზიტორთა საპასუხო ვიზიტი და ქართული მუსიკის კონცერტები ერევანში თებერვალში გაიმართება.



ბიჭი და ყურძენი

ფოტოეტიუდი ა. ჩარკვიანისა.

## ამინდი

## ამ საზეიმო დღეებში

როგორც ვაკვირდებით, ამ ბოლო ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში იგრძნობა ამინდის მკვეთრი ცვალებადობა. ხან უცებ დაუბერავს ცივი ქარი, ცა შავი ღრუბლებით დაიფარება, ხან კიდევ მზე გამოიხედავს და საკმაოდაც დათბება.

დღეიდან იწყება მოსწავლეთა საშემოდგომო არდადეგები. ბუნებრივია, ბევრს აინტერესებს, როგორი ამინდი იქნება ამ დღეებში...

ამ მიზნით ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი დაუკავშირდა თბილისის ამინდის ბიუროს უფროს სინოპტიკოსს ნ. ძამაშვილს და სთხოვა მკითხველებისათვის ეცნობებინა არდადეგების დღეებში მოსალოდნელი ამინდი.

აი რა გვაცნობა მან:

დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებში უმეტესად მოსალოდნელი იქნება უნალექო ამინდი, ათდღიურის ბოლოს კი ხანგამოშვებით იწვიმებს. ტემპერატურა ღამით იქნება 5-10, დღისით 13-18 გრადუსი; აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ტემპერატურა ღამით 2-7, დღისით 14-19 გრადუსი. ბაკურიანში, სადაც თოვლია შემორჩენილი, კვლავ მოსალოდნელია მცირე თოვა. ტემპერატურა დღისით 5-10 გრადუსი.

საინტერესოა, როგორი ამინდი იქნება მოსკოვსა და მახლობელ რაიონებში. ამ პერიოდის დასაწყისში მოსალოდნელია უმეტესად უნალექო ამინდი, შემდეგში დროგამოშვებით მცირე თოვა. ტემპერატურა ღამით 5-10 გრადუსი ყინვა, დღისით ნული — 5 გრადუსი ყინვა.

## შ. ღლონტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შალვა იოსების-ძე ღლონტი.



შ. ღლონტი დაიბადა 1912 წლის 15 ოქტომბერს ლანჩხუთში, იქვე მიიღო საშუალო განათლება და ადრევე დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. 1931 წლიდან მუშაობდა ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონის კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, შემდეგ კი — მაჩხაანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და განაგრძო სწავლა საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტურაში. დაუსწრებლად სწავლასთან ერთად 1938 წლიდან მუშაობდა სიღნაღის რაიონული გაზეთის რედაქციაში.

1947 წლიდან შ. ღლონტი სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელია, 1952 წლიდან კი იმავე ინსტიტუტის დოცენტი. 1962 წლიდან მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში.

შ. ღლონტმა 1963 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა“. 1967 წლიდან ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის საკითხებზე. იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი.

შ. ღლონტი მრავალი სამეცნიერო შრომისა და მონოგრაფიის ავტორია, ძირითადად რუსთველოლოგიისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებზე. მათ შორის ქართულ მეცნიერებაში აღიარება ჰპოვა ნაშრომებმა: „ქართველი მწერლების მხატვრული ოსტატობის თავისებურებანი“, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა“, „ვეფხისტყაოსნის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“. ამ შრომებში მრავალი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული ქართული პოეტიკის საკითხებზე.

რუსთველოლოგიის პრობლემებზე მუშაობასთან ერთად შ. ღლონტი აქტიურად ეხმაურებოდა თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებასაც, მისი კრიტიკული წერილები და სტატიები ყოველთვის იპყრობდნენ მკითხველი საზოგადოების ყურადღებას. იგი დაუზარელად ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას, მისი რედაქტორობით გამოცემულია არაერთი წიგნი.

გულისხმიერი მეგობრის, პრინციპული მკვლევარისა და უანგარო მოქალაქის, პედაგოგის და მწერლის შალვა ღლონტის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის მეგობართა გულში.

საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.

## საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის შესახებ 1970 წლის 7 და 8 ნოემბერს

7 ნოემბერს საზოგადოებრივი სარგებლობის ტრანსპორტი (ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი) მუშაობას დაიწყებს დილის 5 საათსა და 30 წუთზე და იმუშავებს დილის 8 საათამდე ჩვეულებრივი განრიგით.

დილის 8 საათიდან მოძრაობას შეწყვეტენ ტრამვაის № 7, 7-ა, 8, 8-ა, 10 მარშრუტები და მუშაობას განაახლებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ, ხოლო №№ 1, 2 და 11 მარშრუტებზე ტრამვაი მთელი დღის განმავლობაში იმუშავებს ჩვეულებრივი განრიგით.

ტროლეიბუსების №№ 1, 5, 9 და 12 მარშრუტები მუშაობას დაიწყებენ დილის 5 საათსა და 30 წუთზე და დღის განმავლობაში იმუშავებენ ჩვეულებრივი განრიგით, ხოლო №№ 2, 3, 4, 6, 7, 10 და 11 მარშრუტები მოძრაობას შეწყვეტენ დილის 8 საათზე და მუშაობას განაახლებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

საქალაქო მარშრუტებზე ავტობუსები იმუშავებენ შემდეგნაირად: №№ 2, 2-ა, 3, 5 და 20 მარშრუტებზე ავტობუსები მუშაობას დაიწყებენ დილის 5 საათსა და 30 წუთზე, 8 საათამდე იმოძრავებენ ჩვეულებრივი განრიგით. 8 საათიდან დემონსტრაციის დამთავრებამდე ივლიან მოძრაობის საწყისი პუნქტიდან მელიქიშვილისა და ლენინის ქუჩების გადაკვეთამდე და უკან იმავე მიმართულებით.

№№ 7, 14, 28, 29, 29-ა, 40 მარშრუტებზე ავტობუსები მუშაობას დაიწყებენ დილის 5 საათსა და 30 წუთზე და დემონსტრაციის დამთავრებამდე ივლიან მოძრაობის საწყისი პუნქტიდან მარჯანიშვილის მოედნამდე და უკან იმავე მიმართულებით. დაწესებული მიმართულებით მოძრაობას განაახლებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

№№ 4, 6, 6-ა, 15, 18 და 42 მარშრუტებზე ავტობუსები დილის 8 საათამდე იმუშავებენ ჩვეულებრივი განრიგით. დილის 8 საათის შემდეგ № 18 მარშრუტის მანქანები ივლიან მოძრაობის საწყისი პუნქტიდან კარლ მარქსის მოედნამდე; ხოლო №№ 4, 6, 6-ა, 15, 42 მარშრუტებზე ავტობუსები მუშაობას განაახლებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

№№ 8 (ექსპრესი), 16, 19, 22, 22-ა, 23, 37 (ექსპრესი), 39, 44, 44-ა, 47-ა, 59 მარშრუტებზე ავტობუსები დილის 8 საათამდე იმუშავებენ განრიგით, 8 საათიდან, №№ 16, 19, 39, 59 მარშრუტებზე ავტობუსები ივლიან მოძრაობის საწყისი პუნქტიდან ხიდ-აკვედუკამდე, ხოლო № 8 (ექსპრესი), 23, 22, 22-ა, 37 (ექსპრესი), 44, 44-ა, 47 და 47-ა მარშრუტებზე ავტობუსები მუშაობას განაახლებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

№№ 8-ა, 8-ბ, 10, 26, 35, 36, 37, 38 და 58 მარშრუტებზე ავტობუსები დილის 8 საათამდე იმუშავებენ ჩვეულებრივი განრიგით, ხოლო 8 საათიდან ივლიან მოძრაობის საწყისი პუნქტიდან მეტროს სადგურ „300 არაგველამდე“. დაწესებული მიმართულებით მუშაობას განაახლებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

დანარჩენ — №№ 1, 9, 9-ა, 11, 12, 13, 17-ა, 21, 24, 25, 30, 31, 32, 32-ა, 27, 34, 41, 43, 45, 46, 48, 49, 50, 54, 55, 57, 62 და 63 მარშრუტებზე მომუშავე ავტობუსები მოძრაობას დაიწყებენ დილის 5 საათსა და 30 წუთზე და მთელი დღის განმავლობაში ივლიან ჩვეულებრივი განრიგით.

№№ 1, 11, 12, 15, 15-ა და 30 მარშრუტებზე მსუბუქი ტაქსომოტორების მანქანები 7 ნოემბერს მუშაობას დაიწყებენ დილის 6 საათზე და მთელი დღის განმავლობაში იმუშავებენ ჩვეულებრივი განრიგით, ხოლო №№ 2, 3, 5, 6, 8, 9, 10 და 17 მარშრუტები დილის 8 საათზე შეწყვეტენ მოძრაობას და მუშაობას განაახლებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ ტრამვაის, ტროლეიბუსის ყველა მარშრუტი მუშაობას განაახლებს დაწესებული მიმართულებით. 7 და 8 ნოემბერს სამგზავრო ტაქსომოტორების მორიგე მანქანები იმუშავებენ დღე-ღამის განმავლობაში.

მეტროპოლიტენის ყველა სადგური დილის 8 საათამდე იმუშავებს ჩვეულებრივად, ხოლო 8 საათიდან სადგური „ლენინის მოედანი“ და სადგური „რუსთაველი“ შეწყვეტენ მგზავრთა მიღებას და სადგურიდან ზემოთ ამოსვლას აღნიშნული სადგურები მუშაობას განაახლებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

7 და 8 ნოემბერს საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი იმუშავებს ღამის 1 საათსა და 30 წუთამდე.

9 ნოემბერს ყველა სახის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტი იმუშავებს ჩვეულებრივი განრიგით.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის განყოფილება.

ეს საინტერესოა

## როგორ აღმოაჩინეს ბორდოს სითხე

1868 წელს, როცა საფრანგეთში აღმოაჩინეს ფილოქსერა, ამერიკიდან დაიწყეს ფილოქსერაგამძლე ვაზის ჯიშების შემოტანა. ამერიკულ ვაზს თან შემოჰყვა საშიში ავადმყოფობა ჭრაქი, რომელმაც სულ მოკლე ხანში საშიშროების წინაშე დააყენა ევროპის კულტურული მევენახეობა. დრო გადიოდა, და ავადმყოფობა თანდათან ვრცელდებოდა, მისი მავნეობა ძლიერდებოდა, საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიება კი უცნობი იყო.

ამ პერიოდში საფრანგეთში, კერძოდ ბორდოს მიდამოებში გზისპირა ვენახების მფლობელებს კიდევ ერთი საზრუნავი გაუჩნდათ: ონავარი ბავშვები, რომელთაც ღობეებიც კი ვერ აკავებდა, აჩანაგებდნენ მოსავალს. ბოლოს მოიფიქრეს ვაზებისთვის შეესხურებინათ შაბიამნისა და კირის ნაზავი, რის შედეგად ლურჯად შეღებილ ყურძენს აღარ იპარავდნენ.

ერთხელ ამ მიდამოებში სეირნობის დროს ქალაქ ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორმა მილარდემ შენიშნა, რომ ლურჯი სითხით შეფერადებული ვაზები ჭრაქით ძალიან უმნიშვნელოდ ავადდებოდნენ, ხოლო იმ ვაზებს, რომლებიც გზას მოშორებული იყო, ბავშვების ხელი ვერა სწვდებოდა და ეს სითხე არ შეუსხურებიათ, ისე ძლიერ მოედო ავადმყოფობა, რომ მთლიანად გაანადგურა მოსავალი.

პროფესორმა მილარდემ ეს მოვლენა მეცნიერულად დაამუშავა. 1886 წელს კი გამოსცა პირველი ინსტრუქცია შაბიამნისა და კირის ნაზავის დამზადებისა და გამოყენების შესახებ.

1887 წლიდან საფრანგეთში დაიწყეს ვაზის მკურნალობა ამ სითხით, რომელსაც დღეს იცნობენ ბორდოს სითხის სახელწოდებით.

ბორდოს სითხე ეწოდა მას პირველად გამოყენების ადგილის მიხედვით. ასე აღმოაჩინეს ერთ-ერთი საუკეთესო და ეფექტური ფუნგოციდი — ბორდოს სითხე. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის არსებობს ამ ხსნარის შემცვლელი პრეპარატები, მას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და დღესაც წარმატებით იყენებენ მსოფლიოს ყველა კუთხეში, როგორც ვაზის ჭრაქის, ისე მთელ რიგ სხვა კულტურულ მცენარეთა დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ო. ქუფარაშვილი,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.




მევენახე: სამშობლოს სადიდებლად მოგვირთმევია!

მეგობრული შარჟი ი. ქოქიაშვილისა.

ს. კლხანიშვილი

ხალხური მთქმელი

## სიმღერა ვაზზე

ვაზო, ვინც დაგრგო, გახარა,
მას ვუმღერ რახანიაო,
ხალხი კი არა, ფუტკრებიც
შენს სიტკბოს დაჰხარიანო.

ვაზო, ღრმად ფესვებ
გადგმულო,
ვაზო, რქა გადაგრეხილო,
დიდრონ-დიდრონი
მტევნებით
მიწაზე ჩამოზნექილო.

გლეხ კაცის დიდო იმედო,
მადლიერი ვართ შენითა,
მრავალჯერ მოგვილხენია,
მაგ შენი ყურძნის წვენითა.

ვაზო, სულ მუდამ შენ
გიმღერ,
და არც ვილლები მღერითა.
ვაზო, შვილივით ნაზარდო
ქართველი კაცის ხელითა.

# სპორტული ამბები

## დღეს 8 მატჩია

დიდ ფეხბურთს ფინიში აქვს. დღევანდელი შეხვედრები საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის მატჩებია. შესაძლოა მოხდეს ისე, რომ სწორედ დღეს გადაწყდეს ოქროსა და ვერცხლის მედლების საკითხი. ამიტომ თავისი მნიშვნელობით პირველ რიგში უნდა დავაყენოთ ოქროს მაძიებელთა — მოსკოვის „დინამოსა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდების მატჩები. დინამოელებისათვის ორჯონიკიძეში „სპარტაკთან“ თამაში იქნება ჩემპიონატის უკანასკნელი შეხვედრა. ცსკა-ს მატჩი ვოროშილოვგრადში „ზარიასთან“ არმიელ ფეხბურთელთათვის წარმოადგენს უკანასკნელისწინა ასპარეზობას. არც ის არის გამორიცხული, რომ ლიდერებმა ჩემპიონატი ქულათა თანაბარი რაოდენობით დაამთავრონ. ასეთ შემთხვევაში ოქროს მედლების საკითხს მათი დამატებითი მატჩი გადაწყვეტს.

თბილისის დინამოელებს დღეს საკუთარ მოედანზე ლენინგრადის „ზენიტთან“ ექნებათ შეხვედრა. მათ უკეთეს შემთხვევაში შეუძლიათ სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილი დაიკავონ, გაუსწრონ ვოროშილოვგრადის „ზარიას“, მოსკოვის „ტორპედოს“ და კიევის „დინამოს“. უკანასკნელ შეხვედრას ქუთაისის „ტორპედო“ ბაქოში „ნეფტჩისთან“ გამართავს.

დონეცკის „შახტიორისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩი არც პირველისათვის არის გადამწყვეტი და არც მეორისათვის, რადგან ისინი საპრიზო ადგილის პრეტენდენტები არ არიან და არც აუტსაიდერებს მიეკუთვნებიან. ხოლო ოდესის „ჩერნომორეცის“ თამაშს ერევანში „არარატთან“ ოდესელთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მათ სჭირდებათ მოგება, ისიც დიდი ანგარიშით, რომ როგორმე გაუსწრონ „ზენიტს“ იმ შემთხვევაში, თუ ლენინგრადელები წააგებენ თბილისში.

დღეს მატჩები ექნებათ აგრეთვე დონის როსტოვში — სკა-სა და მოსკოვის „სპარტაკს“, ტაშკენტში — „პახტაკორსა“ და მინსკის „დინამოს“.

## ჭადრაკში სსრ კავშირის თასზე

მოსკოვში მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში.

პირველ ტურში რიგელმა ოსტატმა ა. შმიტმა 31-ე სვლაზე დაამარცხა ოდესელი ოსტატი ლ. ალბურტი.

მეორე ტურში ა. შმიტმა კვლავ მოუგო ლ. ალბურტს. ახლა რიგელ მოჭადრაკეს დარჩენილი ორი პარტიიდან ნახევარი ქულა სჭირდება ფინალში გასასვლელად. დ. ბრონშტეინისა და ვ. სავონის მეორე პარტიაც ყაიმით დამთავრდა, ანგარიშია 1:1.

## ასპარეზობათა პანორამა

● სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრები გუნდი განაგრძობს ტურნეს საზღვარგარეთ. მორიგი საერთაშორისო შეხვედრა ჩვენს გუნდს ჰქონდა ბრატისლავაში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 18:10 (6:4).

● გრძელდება შეჯიბრება ევროპის ლიგის პირველობაზე მაგიდის ჩოგბურთში. მორიგი მატჩი გაიმართა პრაღაში ჩეხოსლოვაკიისა და ინგლისის გუნდებს შორის. წარმატება ჩეხოსლოვაკიელებს ხვდათ ანგარიშით 5:2.

● ტირასპოლში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის XIV პირველობის ფინალური ასპარეზობა შაშში ქალთა შორის. გასული წლის მსგავსად პირველი და მეორე ადგილი გაიყვეს მოსკოველმა სტუდენტმა ელენე მიხაილოვსკაიამ და იანინა აუგუსტინაიტემ (ლიტვა), რომლებმაც 16-დან თერთმეტ-თერთმეტი ქულა შეაგროვეს. ამრიგად, ჩემპიონი არ გამოვლინებულა. ოქროს მედლის საკითხს გადაწყვეტს ე. მიხაილოვსკაიასა და ი. აუგუსტინაიტეს დამატებითი მატჩი.

● როგორც ცნობილია, „ჰეთთრიკი“ (სამი გოლის გატანა მატჩში რომელიმე ფეხბურთელის მიერ) საკმაოდ იშვიათი მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში. სხვადასხვა ქვეყნის თავდამსხმელები დროდადრო იმეორებდნენ ასეთ შედეგს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს რეკორდს, რომელიც შოტლანდიის ნაკრებისა და „გლაზგო რენჯერსის“ ცენტრფორვარდმა კ. სტაინმა დაამყარა.

1968 წელს ერთვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში სტაინმა ოთხი წუთის განმავლობაში 3 გოლი გაიტანა.

## ტელევიზია

5 ნოემბერი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — სატელევიზიო დადგმა „ორი კომედია“, 12.20 — ქართული მხატვრული ფილმი — „ქალაქი ადრე იღვიძებს“, 17.25 — ახალი ამბები, 17.30 — ბავშვებისათვის „ხელმარჯვეთა ტურნირი“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 18.00 — „საბჭოთა საქართველო-50“ — გადაცემა „მეხილეობისა და მევენახეობის განვითარება საქართველოში“, 18.25 — „ტექნიკის სამყაროში“, 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — სპორტული პროგრამა, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „ზარია“ ვოროშილოვგრადი — ცსკა. მეორე ტაიმი (გადმოცემა ვოროშილოვგრადიდან), 21.45 — ფილმი-კონცერტი — „კოლხური სიუიტა“, 22.35 — სატელევიზიო დადგმა — „მთვარიანი ღამის სტუმრები“ (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები).

6 ნოემბერი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 11.50 — მხატვრული ფილმი — „ოქტომბრის დღეებში“, 13.30 — „ლენინური ვახტა გრძელდება“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაცია მოსკოვიდან და თბილისიდან, 22.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ოქტომბრის სიმფონია“, 22.55 — კონცერტი.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## თეატრები

5 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ექიმი აიბოლიტი (დღისით), რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ფედრა; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — წმინდანები ჯოჯოხეთში (დღისით), ძველი ვოდევილები (საღამოს); გრიბოედოვის სახელობის — ძველი არბატის ზღაპრები (მე-2 აბონ. I წარმ.); ადგილი დაუთმე ხვალინდელ დღეს (დღისით), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სტუმარი და მასპინძელი (დღისით), ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს (საღამოს); თოჯინების ქართული — თხუპნია (დილის 10 საათზე 111-ე, 147-ე სკოლები), ამბავი ბრიყვი ძმობილებისა (დღის 12 საათზე 114-ე სკოლა).

## დამატებითი მატარებლები დღესასწაულისათვის

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ გაითვალისწინა მშრომელთა სურვილები და დიდი ოქტომბრის 53-ე წლისთავის დღესასწაულის დღეებში დანიშნა მთელი რიგი დამატებითი მატარებლები.

როგორც სამგზავრო სამსახურის უფროსმა ინჟინერმა ნ. ჯიქიძემ განაცხადა, ჩვეულებრივი მოძრავი შემადგენლობების გარდა, დანიშნულია დამატებითი № 248 მატარებელი თბილისი-ბათუმი, რომელიც თბილისიდან გავა 5, 6, 8 და 9 ნოემბერს 19 საათსა და 32 წუთზე.

დამატებითი მატარებელი ბათუმი-თბილისი ბათუმიდან გამოვა 6, 7, 9 და 10 ნოემბერს.

დანიშნულია აგრეთვე დამატებითი მატარებელი თბილისი-ცხაკაია, ხოლო სხვა სამგზავრო მატარებლებს დამატებით მიებმება ვაგონები. (საქინფორმი).

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**


კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-08-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 24481

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.